# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №279

(მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 16 აგვისტო 2012 წელი

## 1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე პაატა კოკაიას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 აგვისტოს №364 ბრძანების საფუძველზე შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) მომსახურებას, კერძოდ: ქალაქ ფოთიდან ქალაქ თბილისში (დიდუბის გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში) წვევამდელების ტრანსპორტირება (შემდეგში „მომსახურება").

## 2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია, კლასიფიკატორის კოდი

2.1 ობიექტის დასახელება – ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) მომსახურება, კერძოდ: ქალაქ ფოთიდან ქალაქ თბილისში (დიდუბის გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში) წვევამდელების ტრანსპორტირება.

2.2 სატენდერო განცხადების ნომერი - SPA120021743 (ტენდერი არ შედგა).

2.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა;

2.4 შესყიდვის კატეგორია – 60100000– საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი-60170000 - სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ქალაქ ფოთიდან ქალაქ თბილისში (დიდუბის გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში) წვევამდელთა გადაყვანის ტრანსპორტირების მომსახურეობა - 1 (ერთი) რეისი: ფოთი-თბილისი-ფოთი - 1 (ერთი) სამარშრუტო ტაქსით- ღირებულება შეადგენს 440 (ოთხასორმოცი) ლარს (იხ. დანართი №1.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:
- მომსახურების გაწევა დაიწყება - 2012 წლის 17 აგვისტოს.
- მომსახურების გაწევა დამთავრდება - 2012 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა).

## 5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

## 7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სამობილიზაციო, წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

9.2 „მიმწოდებელი" პასუხისმგებელია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომების დაცვაზე და მთლიანად პასუხს აგებს მომსახურების მიწოდების პერიოდში მიყენებულ ზიანზე.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სამობილიზაციო, წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალამია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.5 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

## 10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| თვითმმართველი ქალაქ ფოთი<br>(თვითმმართველი ერთეული) | ინდივიდუალური მეწარმე |
| თვითმმართველი ქალაქ ფოთის<br>საკრებულოს თავმჯდომარე | |
| ივანე საღინამე | პაატა კოკაია |
| მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12<br>სს „საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი | მის: ქ. ფოთი, ზ. კოკაიას ქუჩა №39<br>სს „პროკრედიტბანკი" ფოთის ფილიალი |
| ა/ა GE 49BG0000000912389300 ბ/კ BAGAGE22<br>ს/კ № 215138143 | ა/ა 711910 ს/კ 42001018961<br>ბ/ კ № MIBGGE22 |

დანართი №1

ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) მომსახურება
(წვევამდელების ტრანსპორტირება)

| № | მომსახურების დასახელება | ქალაქის დასახელება, სადაც ხდება გადაყვანა | სატრანსპორტო საშუალების რაოდენობა | წვევამდელთა რაოდენობა | ერთი ტრანსპორტირების ფასი | საერთო ტრანსპორტირების ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | | 4 | | 5 |
| 1 | წვევამდელების ტრანსპორტირება დიდუბის გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში | ფოთი-თბილისი-ფოთი | 1 | 20 | 440 | 440 |
| | სულ: | | | | | 440 ლარი |

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე საღინაძე

„მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე

პასტა კოკაია

საქართველო
თვითმმართველი ქალაქის – ფოთის საკრებულო
**Self - Governing City of Poti Sakrebulo**

№ 2/03/1343 16 08 2012 წელი

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, შევისყიდით პერსონალური კომპიუტერების შეკეთების მომსახურებას. ზემოხსენებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადების ნომერი **SPA120021479**) არ შედგა. თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება თან ერთვის (იხილეთ დანართი 1).

საკრებულოს თავმჯდომარე ივანე საღინაძე

საქართველო, 4400, ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12; ტელ/ფაქსი: 0(493)225700; 221386, ელ-ფოსტა: potisakrebulo@gmail.com
N12, Agmashenebeli str. 4400 Poti, Georgia, Te/fax: (+995) 493 225700; 221386, E-mail: potisakrebulo@gmail.com

# საქართველო

## თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის

# ბრძანება

№ 364 16 08 2012 წელი, ქალაქი ფოთი

თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით პერსონალური კომპიუტერების შეკეთების მომსახურების შესყიდვის შესახებ.

პერსონალური კომპიუტერების შეკეთების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (სატენდერო განცხადება **№SPA120021479**) არ შედგა. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ხელმეორედ გამოცხადება, გამარჯვებულის გამოვლენა და შესაბამისი ხელშეკრულების დადება გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) სამსახურებს სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე ესაჭიროებათ გამართული კომპიუტერული ტექნიკა.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშწეონილია თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) სამსახურებისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ იქნეს პერსონალური კომპიუტერების შეკეთების მომსახურება.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად,

## ვბრძანებ:

1. თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ პერსონალური კომპიუტერების შეკეთების მომსახურება, თანხით 1500 ლარი.

2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა აღნიშნული ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული

მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

3. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურმა უზრუნველყოს ანგარიშსწორება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების, მიღება-ჩაბარების აქტისა და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სამობილიზაციო, წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ივანე საღინაძე

საფუძველი: ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2012 წლის 16 აგვისტოს N1–05/2045 მომართვა.

შემსრ. იურიდიული განყოფილება